ცნობის ფურცელი

№ 2495 პარასკევი, 14 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2495

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

კვირას, 16 მაისს, 1904 წ. დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტის **ვ. გუნიას** მიერ **სცენის მოყვარეთა** დახმარებით წარმოდგენილი იქნება თავ. ა. სუმბათაშვილის ხუთ მოქმედებიანი დრამა-ლეგენდა

„ლალატი“

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. რომანიშვილი, ნ. თარხან-მოურავი, ს. ლომაურისა, ნ. კუმსიშვილი, ა. ივანიშვილი; ბ-ნი ა. ყანჩელი, ი. ზურაბიშვილი, ლეხურელი, ხურვალელი, გ. ანანიაშვილი, კ. ხახანაშვილი, კახელი, ადამიძე, ლ. მგალობლიშვილი, ი. ზედგინიძე, ალ. ივანიშვილი, ა. ლორთქიფანიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(7—6) რეჟისორი **ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ გამგეობაში დაიწყო **მიღება შემოწირულებათა** იმ ჯარის-კაცთა ოჯახების სასარგებლოდ, რომელნიც ეხლა გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და შორეულს აღმოსავლეთში იმყოფებიან. ვისაც ჰსურს შემოწირულების გაღება, იმათ იწვევენ გამგეობის კასსაში, საიდანაც დაწესებულ კვიტანციას მისცემენ იმის შესამოწმებლად, რომ ფული მიიღეს. (ნ. 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალაჯრიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედიდა: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. **ქალი მ. კ. იოხელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელიზბედის ქუჩა, № 88).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—83)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქ უ თ ა ი ს შ ი
კბილის ექიმი
დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—28)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე [illegible] ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცევის კირკის გვერდზე. (30—178—9)

რედაქციისაგან.

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთათ შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“ დასამატი ფული უნდა გამოგზავნონ მაისის გასვლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ თიბათვიდან აღარ გაეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მაისი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 11 მაისს: „ფინხუანჩენისკენ და ლიაოდუნის სანაპიროზე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. მტრის ჯარის შესახებ შემდეგი გამოირკვა: ფინხუანჩენში იაპონიის 40,000 ჯარის-კაცია; მცირე რაზმები იაპონიის ჯარისა ფინხუნჩენიდან სიუიანისკენ მიდიან, ამასთან ნელა და დიდის სიფრთხილით; ამ ჯარის ნაწილი,—3000 კაცი ქვეითა ჯარისა და სამი ესკადრონი ცხენოსნებისა,—9 მაისს დაიყო რაზმებად სიუიანის გზაზე, სადიახოგესა და სალიძაპუძას შუა. ამავე დროს გამოირკვა, რომ მტერი ფინხუანჩენსა და პიამინიდან ლუანმიანისკენ მიიწევდა. მოწინავე რაზმები ამ ჯარისა გადავიდნენ მდინარე დაიანხეს მარჯვენა ნაპირზე და 9 მაისს ერთმა რაზმმა, რომელიც სამის როტისა და ერთის ესკადრონისაგან შესდგებოდა, დაიჭირა ლიაოლინის ულელტეხილი, სიუიანის სამხრეთით 14 ვერსის მანძილზე, დაგუშანის გზაზე; დაიჭირა აგრეთვე მეზობელი სოფლები უალასი და კუანჩაფუ. ამას გარდა მეორე რაზმს, რომელიც შესდგებოდა ერთ ბატალიონის ქვეითა ჯარისა და ერთ ესკადრონ ცხენოსნებისაგან, 9 მაისს ეჭირა პხემიაო, რომელიც დაიანხეს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს, დაგუშანის გზაზე, ლიძაპუძიდან 10 ვერსის მანძილზე“.

13 მაისი

მუკდენი. მოვიდა გზათა მინისტრი, ინახულა ნამესტნიკი, შემდეგ სამხრეთისაკენ წავიდა.

ხარბინი. („რეიტ. სააგ.“). მისიონერები იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ შანდუნში ჩინელთა შორის მოძრაობა იწყება, იმისი მსგავსი, რომელიც ბოქსერთა ამბოხების წინ მოხდა.

პეკინი. ჩინეთის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ხელ-ახლად ირწმუნება, ნეიტრალიტეტს დავიცავთო, და აუწყებს მოხელეთა და ხალხს, არავინ შეგაცდინოთ და ტყუილი აზრი არ შეგადგენინოთ დღევანდელ საქმის ვითარების გამოო.

ჩიფუ. („რეიტერ. სააგ.“). ნავებით მოსულნი დაგუშანიდან, რომელიც ანდუნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, ამბობენ, რომ 9 მაისს იაპონელებმა 6 ათასი კაცი გადმოსხეს დაგუშანშიო. ბიძივოდან ნავით მოსულნი იუწყებიან, რომ იაპონელებს ყოველ დღე გადმოჰყავთ ნაპირზე პატარ-პატარა რაზმები. 9 მაისს მიღებული იყო ცნობები ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის დასავლეთ ნაპირზე მომხდარ პატარა შეტაკებათა შესახებ. 11 მაისს პორტ-არტურის მხრიდან ისმოდა ზარბაზნების გრიალი, რაიცა ამტკიცებდა, რომ უკვე დაუწყიათ ხმელეთიდან პორტ-არტურზე იერიში. იაპონელები აშენებენ დროებით ყაზარმებს ელიოტის კუნძულებზე, სადაც თავს იყრიან ხოლმე იაპონიის ტრანსპორტები და სამხედრო გემები.

ხარკოვი. შორეულს აღმოსავლეთში აქედან წავიდა ბაქტერიოლოგთა რაზმი, რომელმაც თან წაიღო სხვა და სხვა შრატი გადამდებ სენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ადესა. მოვიდა ბოლგარიის სამხედრო გემი „ნადეჟდა“, რომლითაც ბოლგარიის წითელ ჯვრის საზოგადოებამ სასანიტარო რაზმი გამოგზავნა. რაზმს შორეულს აღმოსავლეთში მიაქვს ბოლგარიის საჩუქარი რუსის ჯარისათვის: ყოველივე საჭირო მოწყობილება სამხედრო საავადმყოფოსათვის.

მუკდენი. („რეიტ. სააგენტო“). უკანასკნელ ცნობებიდანა სჩანს, რომ იაპონელთა ჯარები ისევ დაიძრნენ და წინ გაემართნენ. რამდენსამე კოლონად მიდიან წინ, თუმცა უმთავრესი ნაწილი პირველის არმიისა ჯერ კიდევ ფინხუანჩენის ახლოსა სდგას. დაბეჯითებით ამბობენ, ვითომ სასტიკი ბრძოლა მოხდა ფზინჯოუს მახლობლად; იაპონელების მხრით იბრძოდა ის ჯარი, რომელიც პულანდიანის სადგურიდან დაიძრა რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზე.

სეული. („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა თავისუფალი ვაჭრობა აკრძალეს იონამპოში. იალუზე მიმოსვლის ნება მხოლოდ მთავრობის გემებს მიეცათ.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ესკადრა, რომელიც 8 გემისაგან შესდგებოდა, 10 მაისს ზარბაზნებს უშენდა პორტ-არტურს ერთის საათის განმავლობაში.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

∴ **ომის ამბები.** ბერლინში ცნობა მიუღიათ, ფინხუანჩენისაკენ მხოლოდ იაპონელების გვარდიის დივიზიამ დაიხიაო. გვარდიის დივიზია მეტად წინ წავიდა, დანარჩენ ჯარს ძლიერ დაჰშორდა და მერე ისევ უკან დახევა არჩიაო. იაპონელები იუწყებიან, გვარდიის დივიზიას მხოლოდ მტრის ძალის გაგება და დაზვერა უნდოდაო. („რ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: ორმა დატყვევებულმა რუსის სალდათმა როგორღაც მოახერხა და იაპონელებს ტყვეობიდან გამოექცათ. ეს სალდათები ჰმოწმობენ, იაპონელები მეტად ადამიანურად ექცევიან რუსის ტყვეებს და მეტად ბეჯითად სწამლობენ დაჭრილ რუსებსაო.

იაპონიის ფლოტის დაზარალება. ადმირალმა ტოგომ 2 მაისს დეპეშით შეატყობინა იაპონიის საზღვაო შტაბს, „დღეს უბედურება ეწვია ჩვენს ფლოტს. ჯავშნიანი გემები „ხაცუზე“, „შიკიშიმა“ და „იაშიმა“ და კრეისერები „კასუგა“ და „ტაცუტა“ ნისლიან ამინდში პორტ-არტურს ახლო მტრის ესკადრას დარაჯობდნენ. დილის 11 საათზე „ხაცუზე“ მტრის ნაღმს წააწყდა, ნაღმმა იფეთქა და საჭე („რული“) წაუხდინა, „ხაცუზემ“ სიგნალი მისცა, მიშველეთო; გემი „შიკიშიმა“ მაშინვე საშველად გაქანდა, მაგრამ ამ დროს ამბავი მოვიდა, „ხაცუზე“ მეორე ნაღმს წააწყდა და ჩაიძირაო. ყოველი ღონისძიება მივიღე, რომ ასეთი უბედურობა აღარ მოხდეს. მეზღვაურების საშველად ნაღმიანი გემების გამანადგურებელნი და ორი ნაღმიანი გემი გავგზავნე“.

3 მაისს ტოგო დეპეშით იუწყებოდა: „ხაცუზე“ ლიაოტეშანიდან 10 მილის მანძილზე დაიღუპა გაშლილ ზღვაში, პორტ-არტურის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. როცა გემი იძირებოდა, ნისლი აღარ იდგა და მტერი არსად არა სჩანდა. ნაღმი ან წინადვე ჩასდეს რუსებმა, ან წყალ-ქვეშ მავალმა ნავმა ესროლა. როცა „ხაცუზე“ იძირებოდა, 16 რუსის ნაღმიანი გემი გამოვიდა პორტ-არტურიდან და ჩვენს ესკადრას გამოუდგა, მაგრამ კრეისერებმა „აკაში“-მ, „ჩიოდა“-მ, „აკიცუშიმა“-მ და „ტაგასაკო“-მ და კანონირმა ნავებმა „ოშიმა“-მ და „ასაგი“-მ უკუაქციეს მტრის ნაღმიანი გემები და მეზღვაურების მოძებნა და გადარჩენა გაგვიადვილესო“.

5 მაისს ტოგო იუწყებოდა: 4 მაისს ნისლი გაიფანტა და იაპონიის ესკადრები და ფლოტილიები ყველანი წინადვე დანიშნულ ადგილას შეიყარნენო.

ტოკიოდან იუწყებიან: „ხაცუზე“-ზე მატროსებს გარდა უფროსი აფიცრები ცუკამოტო, ნირე და იომარა დაიღუპნენო. ამას გარდა 20 აფიცერი და მექანიკი და 10 უმცროსი აფიცერი დაიღუპა. კრეისერ „იოშინო“-ზე დაიღუპნენ კაპიტანი სანეკი და 31 უფროსი და უმცროსი აფიცერი. მთელი იაპონია გლოვობს დაღუპულ მეზღვაურებს, ბევრგან თეატრებიც დაიხურა. ცინჩოუსთან გამარჯვების ამბავმაც ვეღარ გაახარა დაღონებული იაპონელები. („რ. ს.“).

იაპონელი მეზღვაურები სასტიკად ამბობენ, ეს უბედურება რომ ომის დაწყების დროს მომხდარიყო, იქნება ჩვენ მეზღვაურებს გული გასტეხოდათ, მაგრამ ეხლა იაპონიის ფლოტს ისე მტკიცედ სწამს თავისი ძალა, რომ ამისთანა ამბავი გულს ვეღარ გაუტეხსო. („რ. ლ.“).

ბერლინიდან იუწყებიან: გერმანელები ამბობენ, იაპონიის ფლოტი ორის სამხედრო გემის დაღუპვის შემდეგაც მაინც ძლიერია რუსის ფლოტზე და წინანდებურად ბატონობს ზღვაში, მაგრამ იაპონელებს ამას იქით მეტი სიფრთხილე-კი დასჭირდებათ, მით უმეტეს, რომ რუსები ბალტიის ესკადრის გაგზავნასაც აპირებენო. მაინც იაპონიის ფლოტის უბედურებამ და 700 მამაც მეზღვაურის დაღუპვამ ძლიერ აღელვა ბერლინის საზოგადოება. პრესა და საზოგადოება პირდაპირ ამბობენ, ეს უბედურება აშკარად ამტკიცებს, რა საზარელი და საშინელი რამ არის ეხლანდელი ომიო. ყველანი თხოულობენ, სახელმწიფოები უსათუოდ უნდა ეცადნენ, რომ ამ დამღუპველ ომს ბოლო მოუღონ, თორემ კიდევ ბევრს ხალხს შეიწირავს მსხვერპლადაო. („რ. ლ.“).

მიზეზი იაპონიის გემების დაღუპვისა. იაპონიის ორის სამხედრო გემის დაღუპვამ, ისე როგორც ადრე „პეტროპავლოვსკ“-ისა და ადმირალ მაკაროვის დაღუპვამ, მთელი ქვეყნიერობა აალელვა და აალაპარაკა. ყველანი გაკვირვებით ჰკითხულობენ, ისე უცებ რამ დაღუპა ეს გემები, რომ მეზღვაურებმა ვერც-კი გადაარჩინესო. კრეისერ „იოშინო“-ს დაღუპვა უფრო ადვილი გასაგებია. პორტ-არტურის ახლო ხშირ ჯანღში „იოშინო“-ს ჯავშნიანი კრეისერი „კასუგა“ დაეჯახა, გვერდი გაუნგრია და ხელად დაიღუპა. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „ამისთანა უბედური შემთხვევა მშვიდობიანობის დროსაც-კი ხშირად ხდება ხოლმე: ასე, მაგალითად, ინგლისელებს 1876 წ. ჯავშნიანი გემი „უენგარდ“-ი და 1893 წ. ჯავშნიანი გემი

„ვიქტორია“ დაეღუპათ მანევრების დროს, გერმანელებს 1878 წ. ჯავშნიანი გემი „გროსერ კურფიურსტ“-ი და 1901 წ. კრეისერი „ვახტ“-ი დაეღუპათ და სხვ. ერთის სიტყვით, მანევრების დროს გემები ხშირად დაეჯახებიან ხოლმე ერთმანეთს“.

უფრო ძნელი ასახსნელია ჯავშნიან გემ „ხაცუზე“-ს დაღუპვა. იგივე ბ-ნი ვ. მ. სწერს: „ადმირალი ტოგო იუწყებოდა დეპეშით, „ხაცუზე“ 2 მაისს, კვირა დღეს, პორტ-არტურიდან 10 მილის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, გაშლილ ზღვაში ორს მცურავს ნაღმს მოჰხვდა და დაიღუპაო. ტოგოს განმარტება სწორე უნდა იყოს. ეტყობა „ხაცუზე“-ც იმავე მიზეზით ჩაძირულა, რა მიზეზითაც ერთის თვის წინად „პეტროპავლოვსკ“-ი ჩაიძირა. არა მგონია, რომ „ხაცუზე“ რუსის გემების ნასროლ ნაღმისაგან დაღუპულიყოს; ძნელი დასაჯერებელია. რომ რუსის ნაღმიან გემებს ორი ნაღმი მოეხვედრებინოთ მოძრავ გემისათვის (აფეთქების წინ „ხაცუზე“ გაშლილ ზღვაში დადიოდა პორტ-არტურს ახლო). ასეთი მაგალითი პირველი იქნებოდა საზღვაო ისტორიაში. უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ „ხაცუზე“ რუსის წყალ ქვეშ მავალ ნავს აეფეთქებინოს; ძნელი დასაჯერებელია, რომ ნავს 10 მილი წყალ ქვეშ გაევლოს, მოძრავ ჯავშნიან გემისათვის სწორედ დაემიზნებინოს და ორი ნაღმი მოეხვედრებინოს; ისეთი უზარმაზარი გემი, როგორიც იყო „ხაცუზე“, გინდ ორი ნაღმიც მოჰხვედროდა, ისე მალე არ დაიღუპებოდა. „რეტვიზან“-ი და „პალადა“ „ხაცუზე“-ზე გაცილებით პატარა გემებია, მაგრამ ნასროლ ნაღმისაგან ისინიც-კი არ ჩაიძირნენ; უფრო ჭკუას ახლო იქნება, ვიფიქროთ, რომ იაპონიის ვეება გემი ორის მცურავის ნაღმისგან დაღუპულიყოს: ამ ნაღმებში მეტი პიროქსილინია (ასაფეთქებელი მასალა) და უფრო მეტი ძალა აქვთ. ეს მცურავი ნაღმები, ალბად, პორტ-არტურთან იყო ჩაწყობილი, წყალმა მოგლიჯა და გაშლილ ზღვაში გაიტანა. ადმირალი ტოგო არ მოელოდებოდა, რომ პორტ-არტურიდან ათის მილის მანძილზე მცურავი ნაღმები შეჰხვდებოდა იმის გემებს და ამიტომ წინადვე ვერ გაფრთხილდა. აქედან სჩანს, რომ „ხაცუზე“-ს დაღუპვა უბედურ შემთხვევის ბრალია. აქედან ისიც სჩანს ცხადად, რა საშინელი ძალა ჰქონია მცურავ ნაღმს. ეხლა პორტ-არტურის გარე რეიდსა და ახლო-მახლო ზღვაში სიარული მთელი ორი თვე (მცურავ ნაღმს ორი თვე აქვს ძალა, მერე კი ეკარგება) საშიში იქნება იაპონიის ფლოტისათვისაც და რუსის ესკადრისათვისაც.“

ადმირალ ტოგოს მეუღლე. „დეილი ნიუს“-ი იუწყება, იაპონურ გაზეთებში საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი ადმირალ ტოგოს მეუღლეზე:“ ომამდე ქ.-ნი ტოგო, როგორც უმაღლეს წრის ქალი, დიდის ფუფუნებით ცხოვრობდა. მას აქეთ-კი, რაც იმისი ქმარი საომრად წავიდა, ქ-მა ტოგომ სულ ხელი აიღო ფუფუნებაზე. ყოველი შეძლებული იაპონელი ყოველ დღე უეჭველად ვანაში ბანაობს, მაგრამ ქ-მა ტოგომ ვანაზეც-კი ხელი აიღო. მაგარ ლეიბზე იძინებს და თხელ საბანს იხურავს; დილიდან საღამომდე წითელ ჯვრის შენობაში ალამებს და მთელი დღე დაჭრილებისათვის შესახვევ მასალას ამზადებს. ქ-ნ ტოგოს რამდენიმე ეტლი ჰქონდა, მაგრამ ომის დროს სულ გაყიდა, ფული წითელ ჯვარს შესწირა, თითონ-კი ყველგან ფეხით დადის. ადმირალ ტოგოს უფროსი ქალიშვილი წითელ ჯვრის საზოგადოებაში მოწყალების დად შევიდა. („ნ.“).

საუბარი იაპონიის ელჩთან. ფრანგ ჟურნალისტ გიურეს პარიზში იაპონიის ელჩი უნახავს და შორეულ აღმოსავლეთის საქმეზე ულაპარაკნია:

— მართალია, რომ იაპონია ჩინეთის გაძლიერებასა და განათლებას ცდილობსო?

— მერე რა არის აქ ცუდი, ან ვის შეუძლიან ამ საქმეში ხელი შეგვიშალოს?

— ევროპა გაგიწევთ წინააღმდეგობას, თუ დარწმუნდა, რომ რაიმე საფრთხე მოელის ჩინეთისაგან.

— როგორ? ევროპა განათლების გავრცელების წინააღმდეგი გახდება? მე, რასაკვირველია, მესმის,—თქვენ ყვითელ საფრთხეზე ლაპარაკობთ. მაგრამ ის-კი ვერ გამიგია, განათლებულ ევროპას ასე რად ეშინიან ყვითელ რასის (მოდგმის) განათლებისა და გაღვიძებისა. თუ ყვითელი საფრთხე ნამდვილად არსებობს, ევროპიელები ვერაფერს გახდებიან, ამ საფრთხეს თავიდან ვერ აიცილებენ. ისტორიის შეჩერება შეუძლებელია. რამდენისამე ათასის წლის წინად, როცა ევროპიელები ჯერ კიდევ გალიისა და გერმანიის გაუვალ, ტევრ ტყეებში ცხოვრობდნენ, ყვითელმა მოდგმამ უმაღლეს განათლებას მიაღწია და თუ ეხლა ყვითელი რასა ხელ-ახლად გაიღვიძებს და თქვენ-კი, ევროპიელები შესდგებით და შეისვენებთ, თუ მართლა რასებისათვისაც ზამთარი და გაზაფხული არსებობს, ისე როგორც მცენარეებისათვის, მაშინ ევროპიელები ტყუილ-უბრალოდ გაირჯებით, სულ ერთია, ვერას გაჰხდებით. ან რად გაწუხებთ ის, რაც დედამიწაზე ათასის წლის შემდეგ მოხდება, მით უმეტეს რომ ყვითელი საფრთხე მხოლოდ იმის ოცნებაში არსებობს, ვინც სრულებით არ იცნობს ჩვენს ქვეყანას. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

—

◆ **„ქ. შ. წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე მეორედ საქველ-მოქმედო ბაზრის გამართვის შესახებ.

◆ ტფილისის **სათავად-აზნაურო სასწავლებლის** ახალი ოთხ-სართულიან შენობის კედლები და სახურავი უკვე დამთავრდა. დასახურია მხოლოდ სულ მცირე ნაწილი შენობისა. შიგნით გასაკეთებელია და მოსაწყობი ეკკლესია, მოსწავლეთა და აღმზრდელთა სადგომები და კლასის ოთახები. მთლად აგებაზე დაიხარჯა 300,000 მან. როგორც ამბობენ, ამდენი კიდევ დაიხარჯება.

◆ დღეს, 14 მაისს, ახალ საყასბოს ამშენებელ კომისიის წევრნი და საბჭოს ხმოსნები ნავთლუხში მიდიან ძველ საყასბოსა და იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც უნდა აშენდეს **ახალი საყასბო.**

◆ გუშინ-წინ ბეითალთა კომისიამ შეამოწმა ტფილისის **ცეცხლის მქრობელ** რაზმის ცხენები. კომისიამ უვარგისად სცნო 8 ცხენი. გუშინ პოლიცმეისტერმა სთხოვა გამგეობას, გადასდოს 1200 მან. სანაცვლო ცხენების შესაძენად.

◆ განზრახულია, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **ტელეგრაფის მართვა-გამგეობა** გამოაცალკევონ და განსაკუთრებულ უფროსს დაუქვემდებარონ. დღეს ტელეგრაფის საქმეები მოძრაობის უფროსს ექვემდებარება.

◆ **დუშეთის მაზრის** 249 სოფელში, (4672 კომლი და 34,506 სული) არც სამინისტრო და არც სამრევლო სკოლა არა ყოფილა.

◆ გუშინ, 13 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე სამსონ, მიხეილ, ნესტორ და სხვა კოპალიანებისა (25 კაცამდე), რომელთაც ბრალდებოდათ ცაგერის ბოქაულისთვის წინააღმდეგობის გაწევა. რადგან პალატაში გამოირკვა, რომ ბრალდებულთათვის უწყებები არ ჩაუბარებიათ, საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ 20 მაისისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე კონსტანტინე სახურიასა, ოქროპირ ჯავახიშვილისა და თედორე ნაგელისა ამათ ჰბრალდებათ გაუფრთხილებლობა, რის გამო ძეგვის ხიდთან მატარებელი გადავარდა და დაიმსხვრა.

◆ ტფილისის ადგილობრივ კამანდის უფროსმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული ყაზარმების შესაკეთებლად.

◆ ტფილისის კალოუბნის ეკკლესიასთან ამ ეკკლესიის დასამშვენებლად და მოსაწყობად ამას წინად დაარსდა სამზრუნველო. ეს სამზრუნველო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 16 მაისისთვის დანიშნულია ამ ეკკლესიის მრევლის კრება. კრებამ უნდა მოილაპარაკოს საშუალების მოპოვებაზე ეკლესიის შესაკეთებლად და გასამშვენიერებლად.

◆ ვარდისუბნის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ა. მთვარელიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „მადლობას ვუძღვნი მატრონა ქუთათელაძეს და ივანე მთვარელიშვილს, რომელთაც კეთილ ინებეს და წიგნაკები შესწირეს სოფ. ვარდისუბნის სამრევლო სკოლას“.

—

შემოწირულება: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შესწირეს: ნუბაროვმა: 1 ხელი ყმაწვილის ტანთსაცმელი, 1 კორსეტი, 2 წყვილი ფილდეკოსის ხელთათმანი, 2 მარაო, 2 ტყავის ქამარი ქალისა, 1 სირმის ქამარი, 1 წყვილი ზაპონკა, 1 თვლიანი ბროშკა, 2 თვლიანი კისტები გულზედ გასაკეთებელი, 12 სხვა-და-სხვა ქინძისთავები, 1 პატარა საგარცხელი, ჩოტკი კბილისა და შპილკები, 1 ბანკა კოლდ-კრემი, 1 დუხის საშხაპუნო, 2 თეთრი ატლასის გალსტუკი, 2 აბრეშუმის ფერადი გალსტუკი, 4 ქამრის პრიაჟკა ქალისა. ჩიტოევის მაღაზიამ: 2 ხატი, 1 ბოთლი რომისთვის, 1 საგზაო ტაფა. ქ-ნ ნინო ბაქრაძის მიერ შეგროვილი ფული ქალ. განჯაში: იაკ. ზუდგინიძე 1 მ., ნინო ბაქრაძემ—1 მ., ნიკო წუწუნავამ—1 მ., ვასილ ფალავანდიშვილმა—1 მ., ლუკა ხარაძემ—1 მ., ალ. გვერდწითლისამ—3 მ., ოლგა მჭედლიშვილმა—1 მ., ანდრია ამბოკაძემ—1 მ., ე. ა.—2 მ., ეკ. ქართველიშვილმა—50 კ. ქ. გორში მოგროვილი ნივთები კნ. ქ. გ. ჯავახიშვილის მიერ: ძმათა ხარატაშვილებმა—ორი დუჟინი ცხვირსახოცი, არსენ კალანდაძემ—ორი კოლოფი ფოსტის ქაღალდი, ერთი დუჟინი ფანქარა, ორი უბის წიგნი, ორი კალმის ტარი და საგზაო ფანქარა. გიორგი ჯაიანმა—ერთი კარობკა ჩადებული ბადრიჯანი. ტატო ქერეჟაშვილმა—თეთრი ფიგარო. მიხეილ არჩუაძის და მაისურაძის მაღაზიამ—ექვსი მანეთის სათამაშოები და წიგნები. ილია კახნიაშვილმა—ორი პორტმანე. ალექსი ცერცვაძემ—ერთი წყვილი ტუფლი, ბესარიონ ოქრუაშვილმა—ერთი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი, იაკობ შიხინოვმა—ხუთი არშინი ხამხარა, მესროფ მარუტოვმა—ოთხი კარობკა პუდრი, ალექსანდრე შიხინოვმა—ერთი თოფი არშია, მიხეილ კაკოევმა—ორი ცხვირსახოცი. ვასილ ბეთლემიძემ—ორი შეკვრა თამბაქო, ივანე ჩაჩანიძემ—თვრამეტი დუჟინი რკინის ლილი, ქ. გ. ჯავახიშვილმა—სამი პატარა კაბა და პატარა ვაჟის ტანისამოსი, დავით მაჭავარიანმა—2 მ., ლუკა კვაჩაკიძემ—50 კ., ვასილ ჩიკლაძემ—30 კ., ბ. ვაჟიკაშვილმა—ათი ბოთლი კახური ღვინო.

წერა-კითხვის საზოგადოების კრება

—

ხვალ საღამოს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, უნდა მოხდეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება.

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, წელს ამ ჩვენს საზოგადოებას 25 წელიწადი შეუსრულდა დაარსებიდან და ამიტომ წლევანდელ კრებასაც, ცოტა არ იყოს, სადღესასწაულო ელფერი უნდა მისცემოდა. ჩვენის აზრით, არ იქნებოდა ურიგო, საზოგადოების გამგეობას ამ დღისთვის დაემზადებინა ანგარიში ჩვენის სიმპატიურ დაწესებულების მოქმედებისა გასულ 25 წლის განმავლობაში. ასეთი ანგარიში ბევრ შრომასა და დროს არ მოითხოვდა, რადგან წლიური ანგარიშები საკმაოდ ვრცლად ჰქონდათ შედგენილი ყველა წინანდელ გამგეობებსაც.

ჩვენს გაზეთში კიდეც იბეჭდება ვრცელი წერილი ბ-ნ კალამისა „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოღვაწეობის შესახებ განვლილ 25 წლის განმავლობაში და ამიტომ აქ ამაზე არ შევჩერდებით.

ჩვენ გავაცნობთ მკითხველთ მხოლოდ იმ ცნობებს, რომელნიც საზოგადოების შარშანდელ წლის მოქმედებას, ე. ი. საანგარიშო წლისას, შეეხებიან და ახასიათებენ და

ფელეტონი

—

იაპონია და იაპონელნი

XI *)

მწერლობა და ლიტერატურა.

პირველი განმანათლებელი იაპონიისა ჩინეთი იყო. ჩინეთს ისეთივე სამსახური მიუძღვის იაპონიის წინაშე, როგორიც მიუძღოდა ძველ საბერძნეთსა და რომს ევროპის წინაშე. იაპონია გონების გამამდიდრებელ ცოდნას იმ თავითვე ჩინეთისაგან სესხულობდა. იმისგანვე ისესხა ანბანი და პირველი მწერლობა.

მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ იაპონიის ერთმა იმპერატორმა ჩინეთიდან მოიწვია მსწავლული ვან-ყინი,—სა, ამან შეიტანა ამომავალ მზის ქვეყანაში ჩინური ანბანი. მაგრამ ეს ანბანი არ უდგებოდა იაპონიის ენის ხასიათსა და ბუნებას. ამას გარდა მოგეხსენებათ, რომ ჩინურ ანბანს ჩვენებურსა და, საზოგადოდ, ევროპიულ ანბანთან საერთო არა აქვს-რა. ჩინელებს ასოები სულ არ მოეპოვებათ, იმათი ანბანი რამდენისამე ათას ნიშნისაგან შესდგება; ხოლო თითო ნიშანი გამომხატველია ცალკე ცნებისა. მთელი ანბანი ჩინელებისა 40 თუ 50 ათას ამ გვარ ნიშანს შეიცავს. რა თქმა უნდა, არა კაცს არ ძალ-უძს ესოდენ ასოების შესწავლა და დახსომება. ჩვეულებრივად მიღებულია, რომ განათლებულმა სულ ცოტა 8—10 ათასი ნიშანი მაინც უნდა იცოდეს.

უფრო პრაქტიკულმა და მოხერხებულმა იაპონელებმა ხუთი თუ ექვსი სხვა ანბანი გამოიგონეს, რომელთაგან უფრო გავრცელებულია ეგრედ წოდებული „კატა-კანა“. ეს ანბანი შეიცავს 49 ასოს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მარცვალს. აი თვით მარცვლები: ნა, ნე, ნი, ნო, ნუ; რა, რე, რი, რო, რუ; და (ან ტა), დე, დი (ან ძი), დო, დუ (ან ძუ); ვა, ვე, ვო, ვუ; სა, სე, სი, სო, სუ; ია, იე, იი, იო, იუ; კა, კე, კი, კო, კუ; მა, მე, მი, მო მუ; ფა (ან და და ხა), ფე, ფი, ფო, ფუ; ა, ე, ი, ო, უ. იაპონიაში ხმარობენ როგორც ამას, ისე ჩინურ (ანუ „იამატო-კანა“) ანბანს. უფრო „საყურადღებო“ ქაღალდები (იმპერატორთან მისართმევი, მაგალითად), სამეცნიერო თხზულებანი და სხვა; იწერება ჩინურ ანბანით. „კატა-კანა“ ხალხური ანბანია.

სიძნელე ამ ანბანების შესწავლისა ძალიან აფერხებს სწავლა-ცოდნის გავრცელებას. ბავშვისთვის მეტად დიდი შრომა და მეცადინეობაა საჭირო ამ დახლართულ ანბანების შესათვისებლად. იაპონელ ბავშვის შრომა სწავლის დროს ერთიათად აღემატება ჩვენებურ ბავშვის შრომას. იაპონელთა მუყაითობა და ბეჯითობაა მიზეზი, რომ სიძნელის მიუხედავად წერა-კითხვა ძალიან არის გავრცელებული ამომავალ მზის ქვეყანაში. მოწინავე იაპონელებმა კარგა ხანია ყურადღება მიაქციეს ანბანის სიძნელეს და ლაპარაკი ჩამოაგდეს ძველ ანბანების სრულიად გაუქმებისა და ლათინურ ანუ ევროპიულ ასოების შემოღების შესახებ. ამ აზრის გასავრცელებლად და საპროპაგანდოდ 1884 წელს ტოკიოში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც დღეს 6000 წევრზე მეტი ჰყავს. ეს საზოგადოება უკვე ჰბეჭდავს ლათინურ ასოებით გაზეთებს, წიგნებს და სთარგმნის და სცემს ევროპიელ საუკეთესო მწერალთა თხზულებებს.

ხალხური პოეზია ანუ ზეპირ-სიტყვაობა იაპონიისა მეტად მდიდარია. თითქმის ყველა იაპონელი ბუნებით პოეტია, იმდენად ღრმად აქვს ჩანერგილი სიყვარული მშვენიერების მიმართ. ამიტომ საკვირველი არ არის სახალხო ლიტერატურის გაძლიერება. სავსეა ეს ლიტერატურა საუცხოვო ზღაპრებით, ლექსებით, გადმოცემებით, ლეგენდებით და სხვათი. ძალიან უყვარს იაპონელს განსაკუთრებით ზღაპარი. მომქმედ პირებად ბევრ ზღაპარში მწერები არიან, ყველაზე ხშირად ციცინათელები. ეს მწერი იაპონელების თვალში ემბლემაა სისპეტაკისა, სინათლისა და სიყვარულისა. აქვთ იაპონელებს ჭკუის დამრიგებელი ზღაპრები, რომელშიაც ხშირად მარტივი, მაგრამ მაინც ცხოვრების ფილოსოფიაა გატარებული. ასეთია, მაგალითად, „ქვის მმტვრეველი“ *). ძალიან უყვართ იაპონელებს სახალხო სიმღერები და ლეგენდები. ამ ჟამად მრავლად იბეჭდება და ვრცელდება ასეთ სიმღერებისა და ლეგენდების კრებულები. ყოველი კრებული უსათუოდ სურათებით არის შემკული.

იაპონია ყოველთვის ჩინეთის კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ იმის უწინდელ მწერლობას ჩინეთის კულტურის ბეჭედი აზის. მეცნიერებისა და, საზოგადოდ, სწავლა-ცოდნის ტაძრად იმ დროს ბუდდას სარწმუნოების მონასტრები და სამლოცველოები ითვლებოდა. ყველა მონასტერთან არსებობდა სკოლა, ბერები და მღვდლები სთარგმნიდნენ თხზულებებს, სწერდნენ წიგნებს და ავრცელებდნენ ხალხში. ხშირად ბერი ნახევარ სიცოცხლეს ამა თუ იმ დიდ წიგნის გადაწერას ანდომებდა ხოლმე.

ლიტერატურული მოძრაობა იაპონიაში იწყება მერვე საუკუნიდან ქრისტეს დაბადების შემდეგ. ამ დროს დაიწერა დიდი თხზულება „ნიხონგი“ (იაპონიის ქრონიკები). ამავე დროიდან იდგამს ფეხს ყველა დარგი მწერლობისა: პოეზია, დრამა, კომედია, ისტორია, საბუნებისმეტყველო საგნები და სხვა. მე-12 და მე-13 საუკუნეში განვითარდა რაინდობის პოეზია: რაინდები და მოხეტიალე ტრუბადურები სწერდნენ რომანებს და ლირიკულ ლექსებს. მეჩვიდმეტე საუკუნე ლიტერატურის აღორძინების საუკუნედ ითვლება, ხოლო მეთვრამეტე—ენციკლოპედისტთა საუკუნედ, მეთვრამეტე საუკუნეში დაიწერა, მაგალითად, მთავრის მიტოს მეოხებით „იაპონიის ისტორია“. მიტომ, მდიდარმა ფეოდალმა და [illegible]რლობის მოყვარულმა, მოიწვია იაპონიის ყველა კუთხიდან მსწავლულნი და იმათთან ერთად შეადგინა ზემოხსენებული თხზულება. იგი შეიცავს ორას ორმოცდა სამ ტომს. მთელი ასი წელიწადი ეს „ისტორია“ ხელნაწერებით ვრცელდებოდა და დაიბეჭდა მხოლოდ 1851 წელს. მიტოს მიჰბაძა რაი სანიომ, რომელმაც ოცი წელიწადი იშრომა და შეადგინა „საერთო ისტორია იაპო-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2482.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ დამატება № 217.

რომელნიც წევრთა ხვალინდელ კრებას წარედგინებიან განსახილველად.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენის საზოგადოების წევრთა რიცხვს 198 კაცი მიჰმატებია, ხოლო გამოჰკლებია ერთი საპატიო და ორი დამფუძნებელი წევრი; ასე რომ 1903 წლის დამლევს საზოგადოებაში ირიცხებოდა 1110 წევრი: 5 საპატიო, 66 დამფუძნებელი და 1039 ნამდვილი.

სულ ამ წევრთაგან საანგარიშო წლის განმავლობაში საწევრო გადასახადი შემოსულა 3143 მანათი. როგორც ხედავთ, წევრთა რიცხვი და შემოსული საწევრო ფული ერთმანეთს არ შეეფერებიან: ფული გაცილებით მეტი უნდა შემოსულიყო.

საზოგადოების სხვა ღონისძიებათაგან დავასახელებთ: ყულაბებს, რომლებით 1903 წელს შემოსულა სულ 316 მან. 46 კაპ.. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ამ გზით ფულის შეგროვებამ ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენში, თუმცა საქმის თაოსნებს, ჩეხთა „მატიცა“-ს მაგალითით წაქეზებულთ, დიდი იმედები ჰქონდათ; რასაკვირველია, ამაში ბრალი ინიციატორთ არ უდევთ: აქაც ჩვენი გულ-გრილობა და შეუგნებლობა მოქმედობს...

სხვა-და-სხვა შემოწირულება საანგარიშო წელს შემოსულა 5446 მან. 42 კაპ., რომლიდან უმთავრესი წილი (2000 მ.) ბაქოში გამართულ საღამოდან დარჩენილა. საქველმოქმედო ბაზრისაგან დარჩენილა 1178 მან. 82 კაპ.; კონცერტიდან—736 მან. 67 კაპ.; წიგნების ვაჭრობის მოგება—2032 მ. 27 კ.. სულ კი საზოგადოებას საანგარიშო წელს შემოსვლია 24015 მან. 93 კაპ.

ამავე დროს საზოგადოებას დაუხარჯავს 25474 მან. 74 კაპ.; აქედან უმეტესი ნაწილი სკოლების შენახვაზე: 3066 მან.—ბათუმსაზე, 2807—კავკავისაზე და სხვ.; სკოლათა, ბიბლიოთეკათა და კერძო პირთა დახმარებაზე—1338 მ. და სხვა... ამ რიგად საზოგადოებას წელსაც დეფიციტი ჰქონია, რომელიც თითქმის 1460 მანეთს უდრის.

საანგარიშო წელს საზოგადოებას იგივე და იმდენივე სკოლა (8) ჰქონია: თავის ხარჯით—სამი (კავკავსა, ბათუმსა და გომარეთს), სოფლისა და საზოგადოების ხარჯით, სანახევროდ, სამი (ხელთუბანს, წინარეხსა და თონეთს) და ორიც (ქუთაისსა და სენაკს)—სათავად-აზნაურო სკოლები ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ხარჯით. ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების რიცხვი სულ თერთმეტი ყოფილა.

საანგარიშო წელს გამგეობას დაუბეჭდია რვა წიგნი, სულ 8983 მან. 80 კაპ.; აი ეს წიგნებიც: „დედა ენა“ ი. გოგებაშვილისა, „ვეფხვის ტყაოსანი“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ჩუბინაშვილისა, „რობინზონ კრუზე“, „წიგნის ისტორია“ დ. კარიჭაშვილისა, „ბარტყ ძლევა-მოსული“, კედლის კალენდარი და აგრეთვე რვეული ქართულის წერისა № 2.

საანგარიშო წელს საზოგადოების ბიბლიოთეკას მიჰმატებია 93 ქართული და 33 უცხო ენებზე დაწერილი წიგნი; ასე რომ ბიბლიოთეკაში არის სულ 3917 ქართული წიგნი და ხელნაწერი და 1642 უცხო ენებზე დაწერილი... ფოტოგრაფია საზოგადოებას, როგორც მკითხველებმაც იციან, იჯარით გაუცია; ხოლო საანგარიშო წელს ფოტოგრაფიაზე უზარალნია: მეტი ხარჯი გაუწევია 973 მან. 54 კაპ.

ეს არის და ეს—ასე ვთქვათ—სტატისტიკური დახასიათება საზოგადოების მოქმედებისა გასულ წელს. მკითხველი დაინახავდა, რომ ეს დახასიათება მაინცა და მაინც ბევრად არ განსხვავდება უკანასკნელ წლების ანგარიშებიდან...

ხვალინდელ კრებას არა ჩვეულებრივ მოხსენებათაგან წარედგინება ერთი საყურადღებო: ბ-ნ ზუბალაშვილის უხვ შემოწირულების შესახებ. ჩვენის აზრით, კრებამ უნდა გამოსთქვას სურვილი ამ ფულის მოხმარების შესახებ და, საუკეთესო იქმნება, უმეტესი ნაწილი მაინც კარგის, იაფ-ფასიან სახალხო წიგნების გამოცემისათვის გადიდვას. დღევანდელ პირობებში წერა-კითხვის საზოგადოება უკეთეს საქმეს ვერც გამოაწყობს, თუ არა კარგ წიგნების გამოცემასა და გავრცელებას. ეს-კი თავის თავადაც დიდი და სასარგებლო საქმეა.

რუსეთის ქრონიკა

◆ უმაღლესად დამტკიცდა ხარბინის სამხედრო დროებით სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ღირსებას ახდიან და 10 წლით კატორგაში გაგზავნიან მე-24 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკს დობროლიუბოვს. ეს სასჯელი გადაუწყვიტეს მას თანახმად სისხლ. სამართლ. მე-3 ნაწილის 1524 მუხლისა.

◆ ეკატერინოსლავის მაზრის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რათა გააცნონ პოლიციელთ იარაღის ხმარების წესები. განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ამ ბოლო დროს ორი შემთხვევა იყო პოლიციელებისგან უწესოდ იარაღის ხმარებისა.

◆ შავი ზღვის ფლოტი ამ ჟამად სცდის გემების ნავთით გათბობას. ამ საგნის დაწვრილებით შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისიაა დანიშნული. ზოგიერთ სამხედრო გემზე უკვე გაუკეთებიათ მოწყობილობა ერთ და იმავე დროს ქვა-ნახშირითა და ნავთით გათბობისათვის. ნავთით გათბობა მხოლოდ იმით არის საშიშარი, რომ შესაძლებელია ადვილად მოხდეს ხოლმე აფეთქება. თუ ეს საქმე მოეწყო და გემების ნავთით გათბობა შემოიღეს, სერიოზულად გაუმჯობესდება გემების მიმოსვლის საქმე. გემებს შეძლება მიეცემათ ხანგრძლივ დარჩნენ ზღვაში რეისების დროს და ხშირ-ხშირად არ შეიარონ ნავთსადგურებში, როგორც დღეს ამას ქვა-ნახშირის დატვირთვისათვის შვრებიან.

◆ კიევის გენერალ-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია კიევში, ყველა საგუბერნიო ქალაქებში და სამხრეთ დასავლეთის მხრის ყველა ადგილებში იარაღის, დანების, ხანჯლების და ხანჯლიან ჯოხების ტარება. აკრძალულია აგრეთვე მაღაზიებში რეზინის შურდულების გაყიდვა.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად საჩქაროდ იკვლევს, რა და რა ზომები უნდა იქნან მიღებული ციმბირის გუბერნიებში გადამდებ სენების გავრცელების წინააღმდეგ, რომელნიც შეიძლება გაჩნდნენ შორეულ აღმოსავლეთში ომის მიზეზით. ამ ზომების საზოგადო გეგმის ადგილობრივ შესამუშავებლად გაგზავნილია სამკურნალო დეპარტამენტის დირექტორი ფონ ანრეპი, რომელსაც თან ორი ექიმი ახლავს.

◆ პეტერბურგის საგალანტერეო, თუთუნისა და სხვა მაღაზიების პატრონებმა, რიცხვით 500 კაცმა, შუამდგომლობა აღძრეს პეტერბურგის ქალაქის საბჭოში, რათა ამ უკანასკნელმა ყველა მაღაზიებზე გაავრცელოს სავალდებულო დადგენილება კვირაუქმე დღეებში დასვენების შესახებ, იმ მაღაზიების გარდა, სადაც სურსათსა ჰყიდიან.

წერილები

ს. კორბოული (ზემო იმერეთი). დადგა გაზაფხული და ზამთრის გამო მიყუჩებულმა ავკაცობამ ჩვენსკენ ხელ-ახლა იჩინა თავი. შარშანდელი წელიწადი სწორედ უწინდელ დროს ლეკ-თათრების თარეშობას მოაგონებდა ჩვენსკენ კაცს. აპრილში აქ შემდეგი ცუდი შემთხვევები მოხდა: მედუქნეს ოქროპირ ჩახანიძეს ღამე გაუტეხეს დუქანი და ბეღელი და რაც მოუხელებიათ, წაუღიათ. იმავე კვირაში, ღამე, დაეცნენ გლეხს დიმიტრი ტეფნაძეს იმის შინ არ ყოფნის დროს. რადგან ფული სახლში ვერ უნახავთ, წაუღიათ რაც მოჰხვედრიათ და ამას გარდა გლეხის ცოლიც რამდენსამე ადგილას ხანჯლით დაუჭრიათ. 20 აპრილს, ღამე, ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხიათ კორბოულის წმ. გიორგის ეკკლესია და წაუღიათ ფულად 12 მანეთი და საეკკლესიო ნივთები: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ტაკუკი და ლანგარი, ყველა ესენი ვერცხლისა—ღირებული 100 მანეთად. ამ ღამესვე, ალბად, იგივე ბოროტ-განმზრახველები დასცემიან ამავე სოფლის ღვთის-მშობლის მეორე ეკკლესიას, მაგრამ კლიტე ვერ გაეტეხათ. სხვა წვრილმანი ქურდობაც აქეთ ხშირია. აი ასე დაიწყო ჩვენსკენ ავ-კაცობის სეზონი და, ვინ იცის, როდემდინ გასტანს. რაჭის სოფელ წესში, როგორც ამას წინად სწერდნენ, ყოფილა „ვამოჩენილი ექიმი“, რომელიც ქარ-ბით ავადმყოფს მგლის არაყით არჩენს თურმე. ახალ ექიმობის გამოგონებით მგონი არც ჩვენებური გლეხის ქალი ჩამოუვარდება წესის ექიმს. სოფლად 1-2 წლამდის პატარა ბავშვებს ხშირად ემართებათ ხოლმე ზნით ავადმყოფობა. შენიშნული აქვთ, რომ თუ ამ ზნის სამჯერ გავლას გადაურჩა ბავშვი, მერე აღარ მოჰკლავს. ჩვენებურმა გლეხის ქალმა ამ ავადმყოფობას დაარქვა თურმე ძაღლის ენა და ამით ავადმყოფ ბავშვებსაც ძაღლის საშუალებით სწამლობს. თურმე ავადმყოფ ბავშვის პატრონს დააკვლევინებს ხოლმე ძაღლს, ბავშვს ჩასვამს ძაღლის ტყავში და 3-3 წვეთს ძაღლის სისხლსაც ჩააყლაპვინებს. ამისთანა წამლობა რამდენჯერმე მოუხდენია თურმე ჩვენს სოფელში და ახლა სხვა სოფლებშიაც იბარებენ ამ უებარ ექიმობისათვის. ამას წინად ერთმა გლეხმა შემომჩივლა, იმ ქალმა ცალ-ხარად ღირებული ნაგაზი ძაღლი დამაკვლევინა გასატყავებლად და ჩემს შვილსაც ვერა უშველა-რაო.

ვ. მაჭარაშვილი.

დ. ყვირილა. გაზაფხულს თან მოჰყვა სხვა-და-სხვა მოარული ავადმყოფობა: ყვავილი, წითელა და სხვა, რომლისაგანაც ახლო-მახლო სოფლებში ბავშვებს მუსრი ევლება. ბევრი სოფლელი ამ ავადმყოფობას ჯერ კიდევ „ბატონებს“ უძახის და ექიმს სიახლოვეს არ აკარებს, ავადმყოფს. თუმცა ყვავილის ამკრელები დადიან სოფლებში, მაგრამ იმათი რიცხვი ისე მცირეა, რომ მცხოვრებთა მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. ავადმყოფობასთან ერთად სოფლებში ქურდობაც ძლიერ გავრცელდა. იპარავენ ყველაფერს, რასაც ხელს მოავლებენ: ცხენს, ფრინველს, ტანისამოსს, ღვინოს და, ასე გასინჯეთ, დარგულ ვაზებსაც-კი. სოფლის მახელენი მხოლოდ ოქმებს ადგენენ, თორემ ისე არავითარ ზომებს არ ხმარობენ დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად. არც თუ სოფლის სხვა საჭირო საქმეებზე ზრუნავენ მაგრე რიგად. გზები, ხიდ-ბოგირები, სკოლა და სხვა სოფლისათვის იმათ მეტ ბარგად მიაჩნიათ და არც იწუხებენ თავს იმათის კეთებით. არჩევნების დროს კი იმათის შეპირებებით ყურებია გამოჭედილი. 11 მაისს ქუთაისის საგუბერნიო გამგეობის მიერ გამოგზავნილმა ტეხნიკმა შეამოწმა ყვირილის ახლად აგებულ თეატრის შენობა. შენობა ყველაფრით მზადაა და ახლა ემზადებიან სადღესასწაულო წარმოდგენისთვის, რომელიც დანიშნულია 30 მაისისთვის. დღესასწაულის გამმართველ კომისიაში, გარდა თეატრის ამხანაგობის გამგეებისა, არიან გარეშე პირნიც, რომელნიც ერთად ადგენენ პროგრამას დღესასწაულისას. წარმოდგენის გასამართავად მოწვეულნი არიან ქ-ნნი გაბუნიაცაგარელი, ნ. ჩხეიძე, კარგარეთელი, მდივანი და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. გუნია, სვიმონიძე, ბალანჩივაძე და სხვანი. თითქმის ყველა მსახიობისაგან თანხმობის ბარათია მოსული, რომ დიდის სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას სადღესასწაულო წარმოდგენაში უფასოდ. ამ მაისში ხშირათ წვიმს და საგრძნობლადაც ცივა. ხვნა-თესვა გაჩაღებულია.

საყულიელი

სოფ. ძორეთი (იმერეთი). ეს მეორე წელიწადია, რაც აქაური ეკკლესია დაკეტილია ეკკლესიის სიპატარავისა გამო. თხოვნა გაგზავნეს უმაღლეს მთავრობასთან, რომ ნება მიეცათ წირვა-ლოცვისა, მაგრამ უარი მოვიდა. 27 აპრილს ყრილობა მოხდა, რომელზედაც განუცხადეს ხალხს ახალ ეკკლესიის აშენების შესახებ. მაგრამ ხალხმა უარი სთქვა და მიზეზად სიღარიბე დაასახელა. არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ქურდ-ავაზაკების შესახებ, მაგრამ არ იქნა და არა, იმათი რიცხვი თუ არ მატულობს, არა კლებულობს. გახშირებულია ეკლესიების ტეხაც. 23 აპრილს პერევისის ეკკლესიას ეწვივნენ ქურდები, წაიღეს ნივთები და ფულად 30 მანეთამდის. 5 მაისს ბჟინევში აბდუშელიშვილს მოპარეს ერთი უღელი ხარი, მესამე დღეს ერთი ხარის თავი და ტყავი საჩხერის ყასაბის დუქანში აღმოაჩინეს; 2 მაისს ღამით შეუტნენ სახლში იმავე სოფ. გლეხს მეგრელიშვილს, რომლისთვისაც შეეგულებინათ 80 მ., წაართვეს და ერთი წყვილი ხალიჩაც გაიყოლეს. ერთ გლეხს 300 ძირი ვაზის ნამყენი აუჩეხეს. მეორეს

ბიისა“. ორსავე ამ თხზულებაში ის აზრია გარებული, რომ იაპონიის ნამდვილი მეფე და ბრძანებელი მიკადოა და არა სიოგუნი, რომე- უფრო სამხედრო უზურპატორიაო. ამ თხზულებებმა ხელი შეუწყეს სიოგუნის ავტორიტეტის დაცემას და ნიადაგი მოუმზადეს ევროპიულ რეფორმების შემოღებას.

პირველი პოეტური ნაწარმოები დაიწერა მეერთმეტე საუკუნეში. საყურადღებოა, რომ ნიჭიერი პოეტები იაპონიაში ყოველთვის ქალები ყოფნენ. გრიფისი სწერს: „საშუალო საუკუნოებში მაღალი საზოგადოება დროს ატარებდა ლექსების წერასა და კითხვაში. ხშირად თვით იმპერატორი აძლევდა თემას ამა თუ იმ ქალს ლექსის დასწერად და თუ ლექსი კარგი გამოდგებოდა, პოეტი სამეფო-ქალად ინიშნებოდა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ამ გვარი ნიჭიერი ქალი იმპერატორის მეუღლედ გადაქცეულა.“ უნიჭიერეს პოეტად იაპონიაში ონონო კომაჩი ითვლება. ეს ქალი სასახლეში სცხოვრობდა და დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. მაგრამ მტრობამ და შურმა აიძულეს სასახლიდან წასულიყო. პოეტმა ქალმა უკანასკნელი დღეები სოფლად, სიღარიბეში დალია. ამ ათი და ასი-ათასობით სადღება ამ ქალის ულებანი.

ლექსთან ერთად უწინდელ იაპონიაში ძალიან გავრცელებული იყო მოთხრობა და რომანი. დღევაც დიდი გასავალი აქვს ზოგიერთ მოთხრობას, თორმეტე და მეცამეტე საუკუნეში დაწერილს. მესამოცე წლებამდე უფრო ცნობილ და პულიარულ მწერლად ითვლებოდა ბაკინი (1767—1848 წ.), რომელმაც 290 სხვა-და-სხვა თხზულება დასწერა. ზოგი ნაწარმოები ამ მწერლისა თორმეტ ტომისაგან შესდგება, ხოლო უდიდესი—„რვა ძაღლის ისტორია“—ას-ექვს ტომს შეიცავს. ამ ავტორის ერთი რომანი—„სიყვარულის ტუგენი“—ამ რამდენისამე წლის წინად ამერიკელს ედვარდ გრეის ინგლისურად გადაუთარგმნია.

მცოდნე კაცების მოწმობით, იაპონური რომანები და მოთხრობები ძალიან სუსტია, თუ, რასაკვირველია, ევროპიელთა თვალით შევხედავთ. აი, რასა სწერს ბაზილ ჩემბერლენი, ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი და დიდი მცოდნე იაპონიის ლიტერატურისა: „იაპონელ ავტორთა მოთხრობებში ბევრი ლამაზი და აზრიანი ადგილია. ასეთი მოთხრობა ცოტად თუ ბევრად საყურადღებოა ფილოლოგებისა, არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის. მაგრამ მთელი მოთხრობა და ყველა ის, რაც იაპონელს მოსწონს, მეტად მოსაწყენი და უაზროა. დიდი რომანები ისევე მოსაწყენია, როგორც პატარა მოთხრობები“.

რაც შეეხება ევროპიულ ლიტერატურას, იგი პირველად იაპონიაში შევიდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც დაარსდა საიდუმლო საზოგადოებანი ჰოლანდიელ ავტორების თხზულებათა გადასათარგმნელად (იმ დროს აკრძალული იყო უცხოელებთან საქმის დაჭერა და სხვა ენიდან თარგმნა). მაგრამ ევროპიულ ლიტერატურის თარგმნას იაპონელები გულმოდგინედ შეუდგნენ მესამოცე წლების შემდეგ. როგორც ყველა სხვა საქმეში, ამაშიაც იაპონელებმა დიდი უნარი, მხნეობა და ცოდნა გამოიჩინეს. პირველ ხანს ამომავალ მზის ქვეყნის შვილებმა მეცნიერულ თხზულებების თარგმნას მიჰყვეს ხელი: მათემატიკა, ბუნების-მეტყველება, მკურნალობა, ფიზიკა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა,—ერთის სიტყვით, არც ერთი დარგი მეცნიერებისა არ გაუშვეს, რომ ევროპიელთა საუკეთესო ავტორების ნაწერები არ გადაეთარგმნოთ. დღესაც ფიზიკა, მათემატიკა, ბუნების-მეტყველება და მკურნალობა უსაყვარლესი საგნებია იაპონელებისა.

სამეცნიერო თხზულებებს მოჰყვა ფილოსოფია და მხატვრული ლიტერატურა. იაპონელები უფრო მაღლა აყენებენ ევროპიელთა ფილოსოფიას, ვიდრე პოეზიას. ამას წინად გარდაცვალებულ სპენსერს, როგორც სწერდნენ, იაპონელნი ევროპაზე ნაკლებ არ იცნობდნენ. დიდი გასავალი აქვს იაპონიაში ევროპიელთა პოლიტიკო-ეკონომიურსა და სოციოლოგიურს თხზულებებს.

ბოლოს დროს იაპონელებმა მხატვრულ ლიტერატურასაც გულმოდგინეთ მიჰყვეს ხელი. როგორც ამბობენ, იაპონელებს ევროპის კლასიკებისა და უპირველეს მწერლების თუ ყველა ნაწარმოები არა, დიდი უმრავლესობა მაინც უკვე გადათარგმნილი ჰქონიათ. რუსულ ლიტერატურიდან, მაგალითად, გადათარგმნილი ყოფილა, სხვათა შორის, ტოლსტოის თხზულებანი. გადათარგმნილია თურმე მაქსიმ გორკისა და ან. ჩეხოვის მოთხრობებიც. მრავლად გაჩნდნენ აგრეთვე ორიგინალური მწერლებიც, რომელთაც თავი მიანებეს ძველ გზას და ევროპიულ რომანებისა და მოთხრობების წერას მიჰყვეს ხელი. ევროპიულ კულტურის გავრცელებასთან ერთად მკითხველ საზოგადოებას თანდათან გემო ეცვლება და, ძველ ბელეტრისტულ ნაწარმოების ნაცვლად, ახალს ევროპიულს ეწევა. საუკეთესო მწერლებად იაპონიაში ამ ჟამად ითვლებიან ფუკუზავა, ნიში-მუ, კატო ხიროუკი, ტაიამა მაზაკაცუ და სხვანი.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო ისიც, რომ იაპონელები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ საბავშვო ლიტერატურას. ტოკიოსა, იოკაჰამასა, კიოტოსა და სხვა ქალაქებში მთელი ფირმებია, რომელნიც უთვალავ საყმაწვილო წიგნსა ჰბეჭდავენ. საეჭვოა, სხვაგან სადმე ისეთი კოხტა და აუარებელის სურათით დამშვენებული საყმაწვილო წიგნები იბეჭდებოდეს, როგორც იაპონიაში. საზოგადოდ წიგნის გარეგნობას იაპონელები დიდ ყურადღებას აქცევენ: უშნოდ და ულაზათოდ ან ცუდ ქაღალდზე გამოცემულ წიგნს იშვიათად შეჰხვდება თურმე კაცი.

წიგნის ბაზარი დღითი-დღე მდიდრდება იაპონიაში. ყოველ წელიწადს აუარებელი წიგნი იბეჭდება და სადღება კიდეც ცნობის და სწავლის მოყვარე იაპონელთა შორის. ამ შემთხვევაში იაპონიამ რუსეთს გაუსწრო: თითო დაბეჭდილი წიგნი იაპონიაში 1,600 სულ მცხოვრებზე მოდის, რუსეთში-კი (უფინლიანდიოთ)—11,000 სულს მცხოვრებზე.

ი. ა—ძე

(შემდეგი იქნება)

რაც ღვინო ჰქონდა, სულ მოჰპარეს, მესამეს პური მოუხადეს და ღვინოში უწმინდური ჩვრები ჩაუყარეს და სხვა... ამნაირად მიმდინარეობს ისედაც დაქვეითებულ სოფლელთა ცხოვრება.

გრ. ჭიჭინაძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მაისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი მოხსენება ნამესტნიკისა (11 აპრილს გამოგზავნილი) ნაღმიან გემების მოქმედების შესახებ: „რეშიტელნი“-სა და „სტერეგუშჩი“-სა 25 თებერვალს და „ვინოსლივი“-სა, „ვლასტნი“-სა და „ბეზსტრაშნი“-სა 26 თებერვალს.

ბერლინი. ტოკიოდან მიღებულ ცნობებით, რუსები ამაგრებენ სამ გორაკს ლიაოდუნის კუნძულის იმ ადგილას, სადაც ყველაზე უფრო ვიწროა, ცინჯოუს ქვემოდ. ამას გარდა ლიაოიანთან აგებენ სამ სიმაგრეს აღმოსავლეთის მხარეს, ექვს—დასავლეთისა, და ხუთს—სამხრეთის მხარეს. ამ ადგილას თავმოყრილია 26,000 ჯარის-კაცი. ნიუ-ჩუანსა და გაიჯოუს შუა რუსები ამაგრებენ მარცხენა ნაპირს. ამ ადგილას ჰყავთ 15,000 კაცი. ნახევარ კუნძულის დასავლეთ ნაპირზე იაპონელებს ჯარი არ გადაუსხამთ.

სეული. („რეიტ. სააგ.“). მართლდება ის ხმა, რომ ყაზახებმა დაიჭირეს კიონ-სიონი და იმასთან ერთად 20 ზარბაზანი.—იონანპოდან დაბრუნებული იაპონელი იუწყება, იქ ცოტა ჯარიაო. მცხოვრებნი წყნარად არიან, მაგრამ არ მოსწონთ, რომ იაპონელნი სასტიკად იქცევიან.—სეულში მეციხოვნედ 800 კაცია.

ბერლინი. „ტაიმს“-ის ცნობით, იაპონიის პირველი არმია სამ კვირას დააყოვნებს ფინხუანჩენთან, მოიცდის, სანამ დანარჩენი ჯარი თავს მოიყრის. იაპონელთა მესამე არმია, რომლის ერთი ნაწილი ლაგუშანთან გადმოსხეს ნაპირზე, იალუსთან მოიყრის თავს. ჩიფუდან იუწყებიან, რომ რუსებმა ისევ წაიყვანეს ჯარი ნიუ-ჩუანიდანაო.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). ფრანგი, რომელიც 9 მაისს ღამე წამოვიდა დალნიდან, ამბობს, რომ იაპონელთა 8 დიდი გემი ერთი საათის განმავლობაში გარს უვლიდა ნავთსადგურის შესავალს და ყოველ ათ წუთში ერთად უშენდა ზარბაზნებს. სანამ ეს ფრანგი დალნიდან წამოვიდოდა, იქ სიწყნარე იყო, ყოველ წუთში კი ელოდნენ იაპონელების თავდასხმას. იაპონელებმა დიდ ჯარს მოუყარეს თავი ბიძივოში და ძინჩჟოუში და მზად არიან გაუდგნენ პორტ-არტურისაკენ, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის ორსავე ნაპირის დაყოლებით.

შანხაი. („რეიტ. სააგ.“). ის ორი გემი, რომელნიც იაპონელებმა პორტ-არტურის შიგნით რეიდის შესავალში დალუპეს, რუსებმა მოიშორეს. ნავთსადგურში შესავალი თავისუფალია.

ჩიკაგო. („რეიტ. სააგ.“). „დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტის გემი შეხვდა ამხანაგობის ნავთსადგურში იაპონელ ესკადრას, რომელიც შესდგებოდა 4 კრეისერისა და 4 ნაღმებიან გემების განმადგურებელ გემისაგან. ამ ჟამად პორტ-არტურის მახლობლად ხმელეთზე განაგრძობენ ბრძოლას.

12 მაისი

ნარვა. 16 მაისს გაიხსნება კურორტები გუგენბურგისა და მერეკიულისა.

სლავიანსკი. სლავიანსკის მადნის წყლებზე, რომელნიც ებრაელთა ბინადრობის საზღვრის გარედაა, ებრაელებს ექიმობის ნება მისცეს მთელის სეზონის განმავლობაში.

სალონიკი. 9 მაისამდის ბოლგარიიდან მაკედონიაში დაბრუნდა 2,543 გადახვეწილი. ადრიანოპოლის ვილაეტში ისე ცოტა ხალხი დაბრუნდა, რომ ყველა გაოცებულია. ახალი რაზმები არ გამოჩენილან. სამოქალაქო აგენტის სამხედრო თანაშემწემ რუსის გენერალმა შესტაკმა დაიარა მისთვის მინდობილი სალონიკის რაიონი და დარწმუნდა, რომ მცხოვრებნი დამშვიდებულნი არიან. მაჰმადიანები კარგად ეკიდებიან რეფორმების საქმეს.

კოლომბო („რეიტ. სააგ.“). ექიმი კასტელანი ირწმუნება, მუცლის ბაცილა აღმოვაჩინეო.

13 მაისი

პეტერბურგი. დაინიშნენ: ვოლინის გუბერნატორი დუნინ-ბარკოვსკი— შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად; საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ფონ-ბიუნტინგი და ვოლინის ვიცე-გუბერნატორი კატალეი — გუბერნატორებად: პირველი—არხანგელსკისა, ხოლო მეორე—ვოლინისა.

დონის როსტოვი. სამდინარეო კომიტეტის თავმჯდომარემ შეადგინა მოხსენება გზათა სამინისტროში წარსადგენად. თავმჯდომარეს სასურველად მიაჩნია მდინარეების მახლობლად მდებარე ქალაქებში დაარსდეს როსტოვის ტიპის სამდინარეო კომიტეტები. ავტორი ამასთან აღნიშნავს, რა უნდა გააკეთონ ამ კომიტეტებმა.

პეტერბურგი. მილანიდან იუწყებიან: იტალიის ბანკმა შეიძინა 8 მილიონ მანეთის მოწმობანი სახელმწიფო ხაზინისა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 შუადღის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 10 ივნისისათვის დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც იჯარით გაიცემა ქალაქის ნავი ვერის ხიდს ზემოდ.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—1)

ვყიდი
ერთ საყინულე ყინულს

ელისაბედის ქუჩა № 146, მაღალოვის სახლში, ვანო ავეტიქოვი. (2—203—1).

შპალერის დეპო
პ. ლანპოსი
გოლოვინის პროსპექტი, მირიმანოვის სახლი.

ყოველკვირა იღებს **შპალერებს,** თითო ნაჭერი ღირს 10 კაპეიკიდან და უფრო ძვირად; მასთან ერთად ყოველგვარი დასამშვენებელი მოწყობილება: ბორდიური, ბაგეტი, რაზასი და სხვა. (№ 43 3—1)

კბილები
და მათი მოვლა-შენახვა

სამხ.-სამკ. აკადემ. პრივ.-დოც. პ. თ. ფედოროვისა, თარგმ. კბილის ექ. ი. პ. ახალშენიშვილისა. **იყიდება:** „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ.“ და „წიგნ. გამომც. ქართ. ამხ.“ წიგნის მაღაზიასა და კიოსკში და მთარგმნელთან (ელისაბედის ქ., № 38). ვინც ნაღდ ფულად 100 ცალზე არა ნაკლებს დაიბარებს, 40% დაეთმობა. წიგნაკს დართული აქვს 7 ნახატი (ორი ფერადი), შეიცავს 124 გვ. და ღირს 40 კაპ. (0—6.—9)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible] ბიარეთა განყოფილებებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოპოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—16)

ეძებს ალაგს

წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში კურს დამთავრებული მებაღის, მევენახის და ღვინის დამყენებლისას. მე-9 ნაწ. კრასნოგორსკის ქუჩა, სახლი პორფიროვისა, № 5. (4—198—1)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად წიგნის ყველა მაღაზიას ახალი წიგნი
„მელიას თავგადასავალი“
საყმაწვილო ზღაპარი გადმოკ. ალ. ნათაძის [illegible]
ფასი 25 კაპ.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. იქვე იყიდება „ჩვენს დედებს“ ამავე ავტორის პედაგ. წერილები. (5—უ—5)

გამოვიდა და იყიდება
საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნ თარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათ- და ორის რუქით. ფასი ერთი მან.

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნაღდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—10) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მაგარი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მწრაფულ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОПК
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—25)

Доз. ценз. Тифлисъ 13 Мая 190
ელექტრონის სტამბა. წიგნების გამომც. ქართ. ამხ.—ის.
(Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)